ო ქ მ ი №11

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომისა, რომელიც ჩატარდა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2024 წლის 18 ნოემბერს.

**სხდომა დაიწყო** 12:00 საათზე, დამთავრდა 12:35 საათზე.

**სხდომას ესწრებოდნენ:** სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის წევრები – ი. ქარდავა, ი. ცხვიტავა, მ. გვიჩია, ზ. ყურაშვილი, კ. ტორჩინავა, მ. ნანეიშვილი, მ. ფირცხალავა.

**ასევე ესწრებოდნენ:** ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი“-ს დირექტორის მ/შ: ნ. ეჯიბია; საკრებულოს თავმჯდომარე - ს. ოდიშარია; თავმჯდომარის მოადგილეები: ლ. უჩანეიშვილი, ზ. ნაჭყებია.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** კომისიის თავმჯდომარე – ინგა ქარდავა.

დ ღ ი ს   წ ე ს რ ი გ ი :

1. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი“-ს მიერ 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი“-ს დირექტორის მ/შ: ნ. ეჯიბია

კენჭი ეყარა წარმოდგენილ დღის წესრიგს (მომხრე – 6; წინააღმდეგი – 0; კენჭისყრაში არ მიიღო მონაწილეობა კომისიის წევრმა მ. ფირცხალავამ) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომამ განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

**მოისმინა:** ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი“-ს 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

მომხსენებელი: ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი“-ს დირექტორის მ/შ: ნ. ეჯიბია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომაზე მოსმენილ იქნა - ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი“-ს 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობა.

სხდომათა დარბაზი დატოვა კომისიის წევრმა მაია ფირცხალავამ.

**აზრი გამოთქვეს:** მ. ნანეიშვილმა, მ. გვიჩიამ ს. ოდიშრიამ, ი. ქარდავამ.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 6, წინააღმდეგი - 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:**

1. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი“-ს 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობა შეფასდეს დადებითად.
2. ეთხოვოს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატს მოამზადოს განკარგულების პროექტი, რათა წარედგინოს საკრებულოს ბიუროს უახლოესი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში გათვალისწინების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის მოსმენისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თვმჯდომარე: ინგა ქარდავა